ეთიკის კომისიის
ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 15.01.2014
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 001/14

შეკითხვა:

იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ადვოკატისაგან მოითხოვს ისეთ ქმედების განხორციელებას, რაც შესაძლოა არღვევდეს კანონმდებლობას, როგორ უნდა იმოქმედოს მოცემულ შემთხვევაში ადვოკატმა?

ანალიზი:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი: „ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი: ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს.

ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვა უნდა განახორციელოს კანონით განსაზღვრული საშუალებების გამოყენებით და მიზნად არ უნდა დაისახოს კლიენტისათვის სასურველი შედეგის მიღწევა არაკანონიერი საშუალებების გამოყენების გზით.

ეთიკის კომისიამ 2011 წლის 07 მარტის გადაწყვეტილებით /დისციპლინურ საქმეზე №057/10/ დაადგინა: „კლიენტის ინტერესების დაცვის ვალდებულება ადვოკატს არ აძლევს უფლებას გამოიყენოს კანონსაწინააღმდეგო საშუალებები. თუნდაც ამას კლიენტი ითხოვდეს და საჭიროდ მიაჩნდეს დაცვის ამგვარი გზით განხორციელება. ადვოკატი ვალდებულია კანონით გათვალისწინებული საშუალებებითა და პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი სტანდარტებით იმოქმედოს.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლის შესაბამისად, ადვოკატი მხოლოდ კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით უნდა მოქმედებდეს, რაც გულისხმობს, რომ კლიენტის ინტერესები ადვოკატის პირად ინტერესებზე ან სხვა პირთა ინტერესებზე მაღლა უნდა განიხილებოდეს. თუმცა, აღნიშნული მუხლის მეორე წინადადებაში მითითებულია, რომ „კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს.“

შესაბამისად, მიუხედავად კლიენტის მოთხოვნნისა, ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კანონიერების პრინციპი და იმოქმედოს მხოლდო კანონით დაწესებულ ფარგლებში.

დასკვნა:

იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ითხოვს ადვოკატისაგან კონკრეტული ქმედების განხორციელებას, რომელიც შესაძლოა არღვევდეს მოქმედ კანონმდებლობას, ადვოკატმა უნდა იმოქმედოს კანონიერების პრინციპის დაცვით. მიუხედავად კლიენტის ინტერესების უპირატესობისა სხვა ყველა ინტერესის მიმართ, „კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს.“ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი)

ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო მოსაზრება და არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ რომელიმე დისციპლინური საქმის განხილვისას.